



სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები

თარიღი	სექტემბერი 2019
თავი	0
გვერდი	1/10
ცვლილება	0

„დამტკიცებულია“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი


 მ. ტეფნაძე

2019

დადგენილება № 01/07


**საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**  
**სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების**  
**მხარდაჭერის მექანიზმები**

ძირითადი ასლი

	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/10
		ცვლილება	0

## 1. სარჩევი

1. სარჩევი.....	2
i. ცვლილებები.....	3
ii. ცვლილებების ისტორია.....	4
iii. მოქმედი გვერდების სია .....	5
2. დოკუმენტაციის კონტროლი.....	6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	6
3. შესავალი.....	7
4. ძირითადი ნაწილი .....	7
მუხლი 1. მიზანი.....	7
მუხლი 2. მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა .....	7
მუხლი 3. სტუდენტების ინტერესების დაცვა.....	8
ხელშეკრულება .....	8
სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა.....	8
მობილობა, შიდა მობილობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება.....	8
ცოდნის ობიექტური და გამჭირვალე შეფასება .....	8
კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა.....	8
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.....	8
ინტერესების მხარდაჭერა .....	9
მუხლი 4. კარიერული მხარდაჭერა.....	9
მუხლი 5. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი .....	10


	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/10
		ცვლილება	0

## i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:


ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	ii
	ii. ცვლილებების ისტორია	გვერდი	4/10
		ცვლილება	0

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი




	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/10
		ცვლილება	0

## 2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

### 2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	4
	შესავალი	გვერდი	7/10
		ცვლილება	0

### 3. შესავალი

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები და სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს გარემოს რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე. ყველა დოკუმენტის საჯაროობა უზრუნველყოფილია მათი უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ([www.ssu.edu.ge](http://www.ssu.edu.ge)) განთავსებით.

### 4. ძირითადი ნაწილი


#### მუხლი 1. მიზანი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აღნიშნულ მექანიზმს იყენებს სტუდენტებისათვის შეთავაზებული სერვისების რეგულირების ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების და უფლებების დაცვას და თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფას.

#### მუხლი 2. მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განათლების უმაღლეს დონეზე მისაღებად აუცილებელი გარემო და სტუდენტებს სთავაზობს:

- უსაფრთხო და დაცულ შენობებს;
- უსაფრთხო და დაცულ ეზოს, მის ტერიტორიაზე მდებარე ავტომობილების სადგომსა და სტადიონს;
- „მწვანე“ გარემოს;
- სივრცეებს გუნდური მუშაობისათვის;
- ხარისხიანი უსადენო და სადენიანი ინტერნეტი;
- ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით მდიდარ ბიბლიოთეკას ქსელში ჩართული კომპიუტერებით;
- პროექტორებით და ავეჯით აღჭურვილ, ნათელ და ვრცელ აუდიტორიებს;
- პროექტორით, კომფორტული ავეჯით, კონდიციონერის სისტემით აღჭურვილ საკონფერენციო ოთახს ღონისძიებებისათვის;
- ახალი ტექნიკით აღჭურვილს კომპიუტერულ კლასებს;
- ვერტმფრენისა და თვითმფრინავის საფრენოსნო საწაფებს;
- თვითმფრინავის სისტემებით აღჭურვილს სხვადასხვა სასწავლო ლაბორატორიებს;
- აეროდინამიკულ მილს სამეცნიერო საქმიანობისათვის;
- თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მდებარე, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაციას უნივერსიტეტის კუთვნილი ბოინგ 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდით;
- ქალაქ თელავში მდებარე, უნივერსიტეტის კუთვნილ სასწავლო აეროპორტ „მიმინო“-ს, საჰაერო ხომალდების ფლოტს და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმოს;

	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/10
		ცვლილება	0

- შშმ პირებისთვის ადაპტირებულ გარემოს;
- მოწესრიგებულ საუნივერსიტეტო სივრცეებს და სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;
- პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- კაფეტერიას;

### მუხლი 3. სტუდენტების ინტერესების დაცვა

#### ხელშეკრულება

1. ყველა სტუდენტს ჩაბარებისთანავე უფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ნებისმიერ ფორმალურ ურთიერთობას. ხელშეკრულება განსაზღვრავს სტუდენტის უფლებებს და არის იურიდიული გარანტი, რომ სტუდენტის უფლებები სრულად იქნება დაცული.

#### სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის მაღალ ხარისხზე განხორციელების კონტროლს უზრუნველყოფს ხარისხის სამსახური;
2. დეტალურადაა აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

#### მობილობა, შიდა მობილობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. მსურველის მიერ სხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში/დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობას ადგენს აღიარების კომისია.
2. დეტალურადაა აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

#### ცოდნის ობიექტური და გამჭირვალე შეფასება

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში წერიითი (შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების) ორგანიზაციულად ჩატარებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური.
2. დეტალურადაა აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და გამოცდების ჩატარების წესში.


#### კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

1. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების წარმატებით ათვისების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაცივება დიპლომი.
2. დეტალურადაა აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

#### ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

1. მეთოდოლოგიის მიზანია თუ სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში მათ აქტიურ და შეუფერხებელ ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.



	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
	ძირითადი ნაწილი	თავი	4
		გვერდი	9/10
		ცვლილება	0

2. დეტალურადაა აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში


### ინტერესების მხარდაჭერა

1. სტუდენტების კანონიერი უფლებების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია დეკანის მიერ, რომელიც არის მთავარი საკონტაქტო პირი სტუდენტისთვის ნებისმიერი პრობლემის თუ გაურკვევლობის შემთხვევაში. დეკანი ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტებს უფლება აქვთ მიმართონ დეკანს, რექტორის მოადგილეს ან რექტორს და მათგან მიიღონ რეაგირება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

### მუხლი 4. კარიერული მხარდაჭერა

1. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შექმნილია დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერის შტატი, რომლის მთავარ ფუნქციას უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს. კარიერული განვითარების მენეჯერი:

2. ზრუნავს უნივერსიტეტის პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაზე სტუდენტთა დასაქმების მიზნებისათვის;
3. ხელს უწყობს სტუდენტებს დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში;
4. კონსულტირებას უწევს სტუდენტებს დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკითხებზე;
5. უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და თანამედროვე შრომითი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზს და შედეგების საქმიანობაში გამოყენებას;
6. უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას დასაქმების ვაკანსიების, სტაჟირების, სამუშაო აღწერილობების შესახებ, ასევე ეხმარება მათ მსგავსი ინფორმაციის მოძიებაში;
7. უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა შესახებ მონაცემების შეგროვებას, ერთიანი ბაზის შექმნას და მათთან კომუნიკაციას;
8. სწავლობს კურსდამთავრებულთა საჭიროებებს მათი კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით;
9. ახდენს კურსდამთავრებულთა ინფორმირებას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ;
10. უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ჩატარებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე და კვლევის შედეგების გაზიარებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის;
11. ორგანიზებას უწევს სტუდენტებისათვის სხვადასხვა ტრენინგებისა და ვორკშოპების ჩატარებას დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;
12. ორგანიზებას უწევს სტუდენტების შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან;
13. გეგმავს და ორგანიზებას უწევს წარმატებულ კურსდამთავრებულებთან სტუდენტების შეხვედრებს;

	სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები	თარიღი	სექტემბერი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	10/10
		ცვლილება	0

14. ასრულებს უფლებამოსილების ფარგლებში რექტორის სხვა დავალებებს.

### მუხლი 5. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი

1. მექანიზმის მიზანია განსაზღვროს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების ხელისშემწყობი წესი, რაც თავის მხრივ წახალისებს აღნიშნული სტუდენტების სრულფასოვან ინტეგრაციას საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო სხვადასხვა პროცესებში.
2. დეტალურადაა აღწერილი სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმში